კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება** **Deutschland-Studien – Kultur, Politik, Gesellschaft** **German Studies – Culture, Politics, Society**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**გერმანიისმცოდნეობის მაგისტრი** **Master of German Studies**
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი, 120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფ. ლევან ცაგარელი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2023 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (ნებისმიერ სფეროში, თუმცა უპირატესობა მიენიჭებათ შემდეგი სფეროების კორსდამთავრებულებს: ჰუმანიტარული მეცნიერებები (ნებისმიერი მიმართულება), სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (ეკონომიკა, პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, სოციოლოგია და კულტურის კვლევები), სამართალი.
2. საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
3. შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა / გასაუბრება (გერმანულ ენაზე).

ინფორმაცია მისაღები გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ დეტალურად მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში "მიღება".

პროგრამის მიზნები

გერმანიის კვლევები გერმანიასთან დაკავშირებული ახალი ტიპის, მულტი- და ინტერდისციპლინური სასწავლო პროგრამაა, რომლის მისია არის გერმანიისა და საქართველოს სოციალურ-კულტურული ურთიერთდაახლოების ხელშეწყობა ამ ორი ქვეყნის კავშირებისა და ურთიერთობების შესწავლისა და კვლევის საფუძველზე.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები გერმანიის კვლევების დარგში, რომლებიც კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და გერმანიის და მისი კონტექსტის (კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება) შესახებ კომპლექსური და ინტერდისციპლინური ცოდნის საფუძველზე შეძლებენ შეისწავლონ საქართველოში შემორჩენილი გერმანულენოვანი დოკუმენტები და არტეფაქტები და გერმანულ-ქართული ინტერკულტურული ლიტერატურა და კონტაქტების ამსახველი წყაროები . გერმანიისა და საქართველოს სოციალურ-კულტურულ ურთიერთმიმართებათა საკვლევად.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს აქვს / შეუძლია,

1. გაანალიზოს გერმანიის კულტურის (ფილოსოფიის, ლიტერატურის, ხელოვნების) და საზოგადოების განვითარების ისტორიული დინამიკა და აქტუალური ტენდენციები;

2. შეაფასოს გერმანიის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები და განსაზღვროს ქვეყნის ადგილი გლობალურ კონტექსტში;

3. გამოიყენოს სოციალურსა და კულტურის მეცნიერებებში დამკვიდრებული ახალი მეთოდები და მიდგომები, ან საჭიროების შემთხვევაში, შემოქმედებითად და ორიგინალურად განახორციელოს მათი სინთეზი გერმანიის კვლევების სფეროში აქტუალური ინტერდისციპლინური ამოცანების დამოუკიდებლად შესწავლისთვის;

4. კრიტიკულად გააანალიზოს და შეაფასოს გერმანულენოვანი პირველადი (ლიტერატურული, ისტორიული, საკანონმდებლო, პოლიტიკური, ფილოსოფიური, აუდიო-ვიზუალური, ზეპირი) წყაროები როგორც გერმანული კულტურის მედიები და დამხმარე (სამეცნიერო) ლიტერატურაზე დაყრდნობით განახორციელოს მოძიებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

5. წარუდგინოს თავისი კვლევის შედეგები აკადემიურსა და პროფესიულ საზოგადოებას თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით;

6. გამოიყენოს გერმანული ენა პროფესიულ დონეზე: შეუძლია გერმანულ ენაზე დარგთან დაკავშირებული სამეცნიერო ტექსტების წაკითხვა და დამუშავება. გერმანულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუინიკაციის წარმართვა;

7. კულტურათშორისი გარემოს მართვა და მასში ადაპტაცია კულტურათშორისი კომუნიკაციის სტრატეგიული მიდგომების გამოყენებითა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებით;

8. შეაფასოს გერმანიის კვლევების მიმართულებით დამატებითი ცოდნისა და გამოცდილების მიღების საჭიროება და დამოუკიდებლად დაგეგმოს სასწავლო პროცესი თავისი საჭიროებებისა და მიზნების შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა

გერმანიისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა მოქნილია და მიმართულია სხვადასხვაგვარი წინარეცოდნის, მონაცემების, ინტერესებისა და საჭიროების მქონე სტუდენტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამისთვის იგი მოიცავს ოთხ სავალდებულო და ერთ არჩევით ბლოკს:

1. სავალდებულო ბლოკი: კვლევის მეთოდები - არანაკლებ 18 კრედიტი;
2. სავალდებულო ბლოკი: კულტურათშორისი და დარგობრივი კომუნიკაცია - არანაკლებ 18 კრედიტი;
3. სავალდებულო ბლოკი: გერმანული პოლიტიკა და საზოგადოება - არანაკლებ 18 კრედიტი;
4. სავალდებულო ბლოკი : გერმანული კულტურა - არანაკლებ 18 კრედიტი;
5. არჩევითი ბლოკი: ევროპული კონტექსტი - არაუმეტეს 18 კრედიტი

არჩევით ბლოკში შეთავაზებული კურსების მაგივრად სტუდენტს შეუძლია, დამატებით აირჩიოს კურსები ერთ-ერთი ან რამდენიმე სავალდებულო ბლოკიდან.

პროგრამაზე ჩარიცხული ყველა სტუდენტი ვალდებულია, მაგისტრატურაში სწავლის უკანასკნელ სემესტრში დაწეროს სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი).

სწავლების მეთოდები

- ლექცია და სემინარი;

- პრაქტიკული მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- ანალიზი და სინთეზი;
- შემთხვევის ანალიზი;
- თანამშრომლობითი სწავლა / გუნდური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება;
- ელექტრონული და შერეული სწავლა;
- აქტიური სწავლა;
- შეტრიალებული გაკვეთილი;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდიც, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპომენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში (მაგ.: გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, ფონდები, GIZ და ა.შ.);
- ტურისტულ სფეროში;
- მასობრივ მედიაში (მაგ.: გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო, და ახალი მედიები);
- საგამომცემლო საქმეში (მაგ.: რედაქციები, გამომცემლობები...);
- მთარგმნელობით საქმეში;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში (მაგ.: საელჩოები, საკონსულოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროინტეგრაციის სააგენტო, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში...)
- განათლების სფეროში (გოეთეს ინსტიტუტი)

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სალექციო აუდიტორიები;
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა (ასევე ავსტრიული ბიბლიოთეკა, ჰუმბოლტის ბიბლიოთეკა), ელექტრონული სამეცნიერო ბაზები
- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი (Elearning), პროგრამა Turnitin და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სპეციალური ელექტრონული სისტემა ,,არგუსი";
- კვლევითი და სამეცნიერო ცენტრები:
- სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი;
- შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი;
- ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი;
- კავკასიის კვლევების საერთაშორისო სკოლა.